ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 პარასკევი, 25 აგვისტო № 1563

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი· Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". **ტელეფონი** № 372.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე. კვირა უქმეების გარდა
დილით:

გ. ა. ზიზინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ბ. რ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

მ. პ. ფედოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

გ. ლ. მარკევიჩი—სადოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეკთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ბ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274. (წლ·)

სასწავლებელი და პანსიონი
ა. გ. მირზაშვილისა
ელისაბედის ქუჩაზე, სახლი № 25.

ამით აცხადებს, რომ სწავლა დაიწყება სასწავლებელში პირველ ენკენისთვიდან. მიიღებენ ბავშვებს მოსამზადებლად: გიმნაზიისათვის, რეალურ და კომერციულ სასწავლებლისათვის. სხვათა შორის, აქვე ამზადებენ უმაწვილებს ზემდგომის და იუნკრის სკოლებისათვისაც. (16—3)

სკოლა და პანსიონი
ა. მამულაიშვილისა
ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის.

ყმაწვილებს იღებენ ყოველ დღე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბრიდან. ოლგას ქუჩა (Ольгинская) № 13. (10—5)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი. ტელეფონი. 791.

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება გაზეთ „ცნობის ფურცლი"-ს ნომრები. ფასი თითო ნომრისა 3 კაპეიკი.

ჩვენი სოფლის ჩამორჩენის მიზეზი

I

ქიზიყის მოუსავლობამ არა ერთი კაცი ჩააფიქრა ჩვენში. ჰფიქრობენ და სწერენ, თუ როგორ უშველონ დამშეულ ქვეყანას. თანაც იკვლევენ, საიდან წარმოსდგა, რამ დაჰბადა ქიზიყის უკიდურესი გაჭირვება. მოუსავლობის მიზეზის გამოკვლევა ფრიად სასარგებლოა, რადგან ამ გზით უფრო ნათლად გამოჩნდება ის, თუ როგორ, რა საშუალებით უნდა დავეხმაროთ დამშეულ სოფლებს. არა ნაკლებ სასარგებლოა გამოკვლევა იმისაც, თუ რაშია, საზოგადოთ, უმთავრესი მიზეზი ჩვენი სოფლის ჩამორჩენისა და დაქვეითებისა. ის, რაც დაემართა დღეს ქიზიყს, სხვაგანაც მოსალოდნელია. ქიზიყი არ არის განსაკუთრებულ მდგომარეობაში, არც საქართველოს დანარჩენი ნაწილი სცხოვრობს იმისთანა პირობებში, რომ ქიზიყისთანა მოუსავლობა და აქედან გამოწვეული შიმშილობა შეუძლებელი იქმნეს. იქ ყველგან, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებში ერთი და იგივე მიზეზი მოქმედებს. და აი მტერთან საბრძოლველად, თავდაპირველად, ამ მიზეზის შესწავლას უნდა შევუდგეთ, უნდა ჩავუფიქრდეთ იმ გარემოებას, თუ რად მიდის უკან-უკან ჩვენი სოფელი, რაში უნდა ვხედავდეთ მისს შველას.

ჩვენ ვერა ვბედავთ ამ საკითხს სრულის თავისუფლებით შევეხოთ. საგანი მეტად რთული და გამოურკვეველია. აჩქარებული და დაუფიქრებელი სჯა არ გამოდგება. საჭიროა სოფლის დაბეჯითებითი შესწავლა, საჭიროა ერთგვარი გამბედაობის გამოჩენა იმ სოციალურ მიზეზების წამოყენების კითხვაში, რასაც ჩვენ, ჩვეულებრივად სხვა და სხვა გარემოების გამო, ცოტა არ იყოს, ვუფრთხით. ამ წერილში ჩვენ, რასაკვირველია, ვერ მივცემთ პასუხს ამ საგულისხმო კითხვაზე. ჩვენ ვეცდებით მხოლოდ ამის გამო გამოვსთქვათ ზოგიერთი მოსაზრებანი.

„ივერიაში" (№ 174) ბ. ნასიძემ ის აზრი გამოსთქვა, რომ ქიზიყის გაჭირვების უმთავრეს მიზეზს მამულის მფლობელობის წესში უნდა ვეძებდეთ. „ქიზიყელმა კაცმა არ იცის „სითბო" და „სიმშვენიერე" მამულის საკუთრებისა, ამბობს ავტორი. კარ-მიდამო და ვენახი,—აი ქიზიყელის ჭკუით საკუთრება. დანარჩენი: სახნავი, სათესი, სათიბი, ტყე, ეს არ შეიძლება კერძოთ ვისსამე საკუთრებად იყოს; ეს სოფლისა, თემისაა; სოფელია პატრონი და ის უნაწილებს თავისს წევრებს, უყოფსო". ქიზიყელის შეხედულებით, გვეუბნება ბ. ნასიძე, მამული არ უნდა შეადგენდეს კერძო საკუთრებას"*). და ეს შეხედულება და ეს ძველი წესი მამულის მფლობელობისა ქიზიყს დაღუპავსო.

სათემო მამულის მფლობელობა ყოფილა ქიზიყში გაჭირვების მიზეზი. თუ ეს ასეა, რატომ იქ, სადაც მამული დაყოფილია და კომლეული მიწად მფლობელობაა დამკვიდრებული (ამიერ და იმიერ საქართველოს ¾-ში), ხალხი იმავე გაჭირვებაში სცხოვრობს. სოფელს არ ეტყობა წინ-მსვლელობა, მეურნეობის გაუმჯობესება და ხალხის წელში გამაგრება? რატომ იქ, სადაც გამტკბარი აქვთ „სითბო" და „სიმშვენიერე" მამულის საკუთრებისა, ამ მამულს არა ეშველა-რა? გლეხი იმავე გაჭირვებაში ვარდება, მოსავალი რომ არ მოუვიდეს, სიმშილობას ვერ გაურბის და სრულებით შეუიარაღებელია ბუნების დაუდგრომლობის და თვით-ნებობის წინაშე? ეტყობა, სათემო მიწის მფლობელობა არაფერ შუაშია. ჩვენა გვგონია, პირ-იქით, ზოგიერთ პირობებში, სათემო მიწის მფლობელობა ერთად ერთი თავდებია სოფლის კეთილ-დღეობისა. ყოველი „სათემო საქმე" საუკეთესო ასპარეზია ადამიანის საზოგადოებრივ გავარჯიშებისათვის. კაცი ეჩვევა მოქმედებას სხვისი ინტერესის მიხედვით, ლაგამს უდებს პიროვნულ მისწრაფებას და თან-და-თან საზოგადო საქმე თავის პირად საქმედ მიაჩნია. თემობა სპობს **კერძო** საკუთრების და **საზოგადო** „შრომის" წინააღმდეგობას. „თემობის", „საერთოსი", „საზოგადოს" გამეფებისაკენ მიმდინარეობს თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრების ევოლიუცია. მხოლოდ „თემობა" არ გაამდიდრებს სოფელს, არ გაამაგრებს წელში, თუ სხვა გარემოება არ უწყობს ხელს. ამა თუ იმ ადგილის ეკონომიურ ცხოვრების ვითარებაზე აქვს დიდი გავლენა საზოგადო, მსოფლიო ეკონომიურ ცხოვრების პირობებს, აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებლების განათლება-განვითარებას ადგილობრივ პოლიტიკურ ისტორიულ და გეოგრაფიულ პირობებს. ამაზე ხვალ მოვილაპარაკოთ.

არჩილ ჯორჯაძე.

---

*) ამ შეხედულებას ბ. ნასიძე შეცდომით „სახელმწიფო სოციალიზმს" უწოდებს.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

23 აგვისტო.

პეტერბურგი. ხელმწიფე-მემკვიდრე და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასუ-

ფელეტონი

საზოგადოება და მისი განვითარება

> ადამიანი მატერიაა და არ შეუძლიან თავის დაუსჯელად არაფრად ჩააგდოს მატერია. იგი ცხოველია და არ შეუძლიან მოსპოს თავის ცხოველობა.
>
> M.—B. („Lettres aux compagnons de Iura").

III*)

მონობამ განყო კაცობრიობის მთელი ისტორია ორ დიდ ნაწილად. ერთ დიდ ნაწილს კაცობრიობის ისტორიისას წარმოადგენს პერიოდი საზოგადოების გაჩენიდან დაწყებული კომმუნის დაშლამდე და მონობის დაწყებამდე. მეორე პერიოდი იწყება მონობის დამკვიდრებიდან და მოდის ჩვენ დღემდე. იგი გაგრძელდება თანამედროვე კაპიტალისტური წესის დაშლამდე და შემდეგ დაიწყება მესამე ერა კაცობრიობის ცხოვრებაში.

პირველის პრინციპი იყო საერთო წარმოება-ხმარება, მაშასადამე სრული თანასწორობა საზოგადოების წევრთა შორის, მეორე დამყარებული იყო კერძო საკუთრებაზე, კაცისაგან კაცის ექსპლოატაციაზე, მაშასადამე—მონობაზე.

მონობის ისტორია გრძელია. იგი იწყება, როგორც უკვე შევნიშნეთ, კომმუნის დაშლიდან, მოაღწევს დღემდე და გაგრძელდება კაპიტალიზმის გაქრობამდე.

მონობას აქვს სამი ფორმა, სამი წარმოების წესი, რომელზედაც დამყარებულია მონური, არა თანასწორობითი განწყობილებანი ინდივიდთა შორის საზოგადოებრივ წარმოების პროცესში. ეს სამი ფორმა მონობისა არის.

1) „მონობა", ანუ უკეთ ვსთქვათ, რასაც ბურჟუა-ეკონომისტები და ისტორიკოსები ეძახიან «მონობას» (esclavage), რომლის კლასსიკური წარმომადგენელი არის ძველი საბერძნეთი და რომი. 2) **ფეოდალიზმი**, ანუ საშუალო საუკუნოების ხანა. 3) **კაპიტალიზმი**, ანუ მე-XVII საუკუნიდან დაწყებული დღემდის გამეფებული წარმოების წესი.

საერთო ამ სამ პერიოდს აქვთ ის, რომ ყველა მათში ადამიანი ადამიანისაგან არის დაშინებული, ერთი ნაწილი ადამიანთა მეორეს შრომით რჩება, და ამის შედეგია—იყო და არის ზედ-მეტი ღირებულების წარმოება, როგორც შედეგი განსაზღვრულ საზოგადოებრივ წარმოებით განწყობილებათა, განსაზღვრულ საზოგადოებრივ წარმოების წესთა. განმარჩეველი მხარე მათში იყო ის განსაკუთრებითი ფორმები, განსაკუთრებითი წარმოებითი განწყობილებანი, რომელშიაც წარმოებდა ზედ-მეტი ღირებულება.

ანტიკური მონობა (esclavage) კლასსიკური წარმომადგენელია მონური წარმოებისა. მონა შეადგენდა უბრალო საწარმოო იარაღს, უბრალო საწარმოო საშუალებას საქონელთა საწარმოებლად, წარმოების პროცესში. ძველ საბერძნეთში, რომში, ერთი ნაწილი საზოგადოებისა, რომელთაც „კეთილ-შობილებს" ეძახდნენ, არაფერს არ აწარმოებდნენ. მათი საქმე იყო ომი, სახელმწიფო საქმეები. მხოლოდ მათ ჰქონდათ უფლება სწავლა და მეცნიერება შეეძინათ, სხვას არავის. მეორე ნაწილი, მონები, ხელოსნები და სხვა, მწარმოებლები საზოგადოდ, კერძო, პიროვნული საკუთრება იყო კეთილ-შობილისა, მეორეს ზიზღით უყურებდნენ, რადგანაც ის შრომის წარმომადგენელი იყო. როგორც საკუთრების, მონის გაყიდვაც შეიძლებოდა და ყიდვაც. ჩვენ უკვე ვსთქვით, თუ რა პირობებმა დაამყარა ამ გვარი განწყობილება მათ შორის.—ამ გვარად ძველ საბერძნეთში და რომში საქონელი სწარმოებდა მონურ განწყობილებათა შორის, საქონელი და თან ზედმეტი ღირებულობა, მოგება პატრონისა, არა თუ მოგება, არამედ მთელი მისი სიმდიდრე...

შრომის განაწილებასა და კერძო საკუთრებას მარტო მონური განწყობილებები არ შეუქმნიათ საზოგადოებაში. მათ საზოგადოდ გაართულეს საზოგადოებრივ განწყობილებანი. მათ შეჰქმნეს აგრეთვე სხვა კლასსები. საერთო წარმოების პროცესიდან გამოყოფილი დარგი წარმოებისა ინდივიდთა განცალკევებულ გრუპპის საქმეს შეადგენდა, ამასთანავე შემდეგ ის იქცეოდა მთელი საზოგადოებრივი წარმოების ნაწილად. მაგრამ მონათა შრომისაგან გალაღებული სრულიად თავისუფალი მოქალაქენი მათაც ზიზღით უყურებდნენ, რადგანაც მათთვის ცნება „შრომა" ისე არ შეიძლებოდა არსებულიყო, თუ «მონა„ არ იქნებოდა მისი აღმასრულებელი; მონა კი მათთვის უმდაბლესი არსება იყო, რომლის

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 1528.

ლი მეუღლით პრინც პეტრე ალექსანდრეს ძე ოლდენბურგის ჰერცოგით 23 აგვისტოს გემ „ზარნიცათი“ დანიაში წავიდნენ.

იოკაგამა. იაპონიაში ჩინეთის ელჩები მოდიან; ელჩებმა ბოდიში უნდა მოიხადონ იმაზე, რომ შარშან პეკინში ჩინელებმა იაპონიის საელჩოს პირველი მდივანი მოჰკლეს. ელჩები ხვალ მოვლენ ტოკიოში.

პიტერმარიცბურგი. ნატალის პირველმა მინისტრმა ამომრჩევლების წინ სთქვა: ნატალის მთავრობა თხოულობს ტრანსვაალის და ორანჟეს რესპუბლიკების ერთი დიდი ოლქი ჩვენის კოლონიის მიწა-წყალს მოემატოსო.

პრეტორია. დღეს სამხედრო სასამართლომ ორი ბურის საქმე გაარჩია. ეს ბურები გამოტყდნენ, მეომარ ბურებს შევუერთდითო. განაჩენის გამოცხადება გადადეს.

ბარბერტონი. ბურებმა მილესანს ახლო 17 აგვისტოს მატარებელი ააფეთქეს და ცეცხლი წაუკიდეს. ამ მატარებლის საშველად მეორე მატარებელი მოვიდა; ბურებმა ესეც რელსებიდან გადააგდეს. არავინ არ დაშავებულა.

მიდლბურგი. ორი უცხოელი და ერთი აჯანყებული ბური კომდებოს ახლო დაატყვევეს; ამათი საქმე გრააფრეინეტის სასამართლომ გაარჩია და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. ესენი 2 აგვისტოს კოლესბერგში თოფით დახვრიტეს.

კონსტანტინეპოლი. ოფიციალური ცნობების მიხედვით, საფრანგეთი მზადაა, არაფერს არ მოერიდოს, ოღონდ თავისი მოთხოვნილება კი შეასრულებინოს ოსმალეთს. გარეშე საქმეთა მინისტრმა ტევფიქ-ფაშამ საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი ბაპსტი თავის კერძო სახლში მიიწვია. ბაპსტმა ეს ამბავი პარიზში შეატყობინა და თავის მთავრობისაგან ინსტრუქციას ელის.

პორტას ამბავი მოჰსვლია: ინგლისის სამხედრო გემის უფროსმა ოსმალეთის გემს „შაბს“ ნება არ მისცა სპარსეთის სრუტეში კუეიტის ნავთ სადგურში შესულიყოო. პორტამ შეუთვალა ბრიტანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს, ბრიტანიის გემის უფროსის ქცევა ინგლისისა და ოსმალეთის მეგობრობას ეწინააღმდეგებაო. ზოგნი კიდევ ამბობენ, საქმე სულ სხვანაირად იყოო. ინგლისის გემის უფროსმა მარტო იმის ნება არ მისცა, რომ ოსმალეთის ჯარები კუეიტში გადასულიყვნენო, ეშინოდა, უწესოება არა მოხდეს-რაო. ოსმალეთის ჯარები კუეიტში ბასორის გუბერნატორის მოთხოვნილებით გაუგზავნიათ.

პრეტორია. კიტჩენერის პროკლამაციას დღემდე შესამჩნევი ნაყოფი არ მოუტანია. ამავე დროს მოხელეებმა მეომარი ბურების ცოლებს ნება მისცეს თავის ქმრების სანახავად წასულიყვნენ და დაერწმუნებინათ, რომ სულ ტყუილად-ღა იბრძვიან, გამარჯვების იმედი აღარააო.

ტულა. სამსახურიდან გამოსულ მაიორ ბოჟენკოვის სადგომში დილით ორი მისი შვილი, ერთი ექვსი და მეორე—ოთხი წლისა, სამართებლით დაკლულები ნახეს. ბოჟენკოვის სიდედრიც დაკლული ნახეს, მაგრამ კიდევ ცოცხალი იყო. ჰფიქრობენ, ყმაწვილებს სიდედრი დაჰკლავდაო. მეტად საოცარი ბოროტ-მოქმედებაა.

კიევი. უნივერსიტეტში ახალი სტუდენტები მიიღეს 518 ქრისტიანი და 32 ურია; ყველა ურია მედლით ყოფილა დაჯილდოვებული გიმნაზიებში. ურიების ახალი სტუდენტების რიცხვის 7% შეადგენს. ამას გარდა მიიღეს 139 სტუდენტად ნამყოფი; ხელ-ახლად მიიღეს 179 სტუდენტი; ესენი დროებითი წესების თანახმად სამხედრო სამსახურს ასრულებდნენ. ამ წესების თანახმად სამხედრო ბეგარა გადაუხდია სულ 205 კაცს. ახალი სტუდენტთაგანი ფილოლოგიურ ნაწილზე შევიდა — 29, მატემატიკურზე—135, საბუნების-მეტყველოზე—97, იურიდიულზე—169, საექიმოზე—88. ურიებს 157 თხოვნა ჰქონდათ შემოტანილი. ლექციები 1 სექტემბერს დაიწყება.

კონსტანტინეპოლი. რუსეთის ელჩი გუშინ გარეშე საქმეთა მინისტრს ძველი სერბიის მდგომარეობის შესახებ ელაპარაკა. ელჩმა უთხრა მინისტრს: უსათუოდ სასტიკი ღონისძიება უნდა მიიღოთ მშვიდობიანობისა და წესიერების აღსადგენად და ქრისტიანების დასაცველადაო. გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება იმის თაობაზე, რომ სერბიაში გაქცეულ მლადო-სერბებს შინ დაბრუნების ნება ეძლევათ.

პარიზი. სენის დეპარტამენტის საბჭოს ბიურომ დაადგინა: როცა რუსეთის იმპერატორი და ხელმწიფე-დედოფალი საფრანგეთში მოვლენ, ჩვენც უნდა მივეგებნეთო.

ბერლინი. პრინცი ცუნი თავისი თანამხლებლებით ნაშუადღევის 4 საათზე მოვიდა; პრინცს ჩინეთის საელჩოს ყველა მოსამსახურეები მიეგებნენ. ყველა ჩინელები სასახლის ეტლებით პრინცისთვის დანიშნულ სადგომში ტირგარტენში წავიდნენ. პირველ ეტლში პრინცი ცუნი იჯდა გენერალ გეფნერთან ერთად.

კაპშტადტი. ჯავშნიანი მატარებელი, როცა 20 აგვისტოს სადგურ ტაუნგზში შედიოდა, რელსებს გადასცდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ზანგ მოსამსახურეებს ისარი სწორედ არ დაეყენებინათ. ჰფიქრობენ, ეს საქმე ღალატით, განგებ იყო ჩადენილიო, რადგანაც აქ ახლო-მახლო ბურები დგანანო.

მატიესფონტეინი. შეფერსს კიდევ პოლკოვნიკი ალექსანდერი სდევნის. შეფერსი ჩრდილოეთისაკენ წავიდა და, როგორც სჩანს, სამხრეთ ოლქებში წასვლას აღარ აპირობს, რადგანაც იქაურმა მცხოვრებლებმა დახმარება არ გაუწიეს. კოლონიის ადგილობრივი რაზმი ტეროკის რაზმს დაესხა თავსა. ტეროკიც შეფერსთან ერთად მოქმედებს.

ხარკოვი. უნივერსიტეტში 266 კაცი მიიღეს, მათ შორის 8 ურიაა. სულ 12 ურიას სურდა შესვლა, ყველას ოქროს მედლით გაეთავებინა გიმნაზია. ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში—240 სტუდენტი მიიღეს, მათ შორის 7 ურიაა; აქაც 12 ურიას ჰქონდა წარმოდგენილი თხოვნა, ყველა ურიას ყველა საგნებში სრული ბალი მიეღო. ინსტიტუტი შუამდგომლობს, რომ კიდევ ხუთი ურიის მიღების ნება მისცენ.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. ინგლისის სამღვდელოება უფრო და უფრო წინააღმდეგი ხდება სამხრეთ-აფრიკის ომისა. პროტესტანტისა, კათოლიკეთა და თავისუფალ ეკკლესიების წარმომადგენლები შეერთდნენ და პროკლამაცია გამოსცეს. სამღვდელოება თხოულობს, ზავი უნდა ჩამოვაგდოთ ბურებთანაო. ამ პროკლამაციის შინაარსი ამნაირია:

«ჩვენ, ქვემორე ხელის-მომწერელნი, ქრისტეს მსახურნი, ჩვენ მოვალეობად ვსთვლით საქმით დავამტკიცოთ, რომ ნამდვილი ქრისტიანები და ქრისტეს სჯულის მიმდევარნი ვართ. ამიტომ ვაცხადებთ:

1. ერის სახელს სამართლიანობა ადიდებს და არა სამფლობელოსი და მიწა-წყლის სიფრცე.

2. როგორც ყოველი კერძო კაცის მოვალე ზნეობის კანონი შეასრულოს, ისე ყოველი ერიც.

და 3. ომი ქვეყნის დასაპყრობად ეწინააღმდეგება უფალი იესო ქრისტეს ანდერძს. ამიტომ იმისი სახელით, ვინც უბედურთა სანუგეშებლად და მონების თავისუფლების სახარებლად იყო მოსული ამ ქვეყნად, ვსთხოულობთ: ბურებს რიგიანი ზავის პირობები დაუდონ, ისეთი პირობები, რომ ბურების თავ-მოყვარეობისათვის საწყენი არ იყოს.»

ამ პროკლამაციას დიდ-ძალმა სამღვდელოებამ მოაწერა ხელი; ხელის-მომწერლების რიცხვი თან-და-თან მატულობს. პროტესტანტისა და კათოლიკე სამღვდელოების გამოჩენილმა პირებმა დიდი ხანია, რაც ხელი მოაწერეს.

საფრანგეთი. წარსულ სამშაბათს ელისეს სასახლეში დუბეს თავმჯდომარეობით მინისტრთა საბჭო უნდა შეკრებილიყო. კრებას გალიფე-რუსსოც დაესწრებოდა. პირველი მინისტრი პარიზში დაბრუნდა და თავის თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

✿ მრეწველების სინდიკატების წარმომადგენლებმა 15 აგვისტოს პარიზში დიდი კრება მოახდინეს. მომეტებულ ნაწილად წვრილი მრეწველების წარმომადგენლები დაესწრნენ. მრეწველებმა გადასწყვიტეს, სენის დეპარტამენტის შრომის საბჭოს არჩევანში მონაწილეობა მივიღოთო. ეს არჩევანი 2 ენკენისთვეს უნდა მოხდეს. მკითხველებს გავახსენებთ, რომ ასე, ერთი თვის წინად, დიდი მრეწველების სინდიკატების პატრონებმა განაცხადეს, მილიერანისაგან დაწესებულ საბჭოებში წარმომადგენლებს არ ავარჩევთო.

იტალია. «დეილი ნიუსა»-ის რომაელი კორესპონდენტი იწერება: იტალიაში ელიან, საფრანგეთიდან განდევნილი ბერები აქ გადმოსახლდებიანო და ეხლავე დიდი აგიტაცია გამართეს და თხოულობენ, ბერებს იტალიაში მოსვლა აეკრძალოსო. ეს აგიტაცია თანდათან ძლიერდება. კორესპონდენტი სწერს:

«საყურადღებოა ისაა, რომ აგიტაციაში მარტო უკიდურესი დასები, მაგალითად, სოციალისტები, რესპუბლიკელები და რადიკალები კი არა, ბევრი მონარქიული დასიც კი იღებს მონაწილეობას. ამბობენ, სამრევლო სამღვდელოების ზოგიერთი წრეც საიდუმლოდ ხელს უწყობს აგიტაციასაო, რადგანაც ეშინიანთ, ვაი თუ ბერების მძლავრმა კრებულებმა ფეხვი გაიდგან ყველგან იტალიაში და შემოსავალი წაგვართვანო. ესპანიისა და პორტუგალიის მაგალითი მოჰყავთ, ორივე ქვეყანამ ბერებს კარები ჩაუკეტა და არ უშვებენო; თვით ისეთ კლერიკალურ ქვეყანაშიაც კი, როგორიც ბელგიაა, ეპისკოპოსებმა ბერებს პირობა დაუდეს —ფულს ნუ მოჰკრებთ, სკოლებს ნუ გახსნით და ეკკლესიებსა და სამლოცველოებს ნუ აგებთო. ასე, რომ ბელგიის ეპისკოპოსებმა მეტი გაბედეს, ვიდრე იტალიის ლიბერალურმა სამინისტრომაო. როცა პარლამენტი შეიკრიბება, ამის თაობაზე საჩივრებს წარუდგენენ. მთავრობას მოსთხოვენ, რომ სარწმუნოებრივ საზოგადოებათ 1866 წელს გამოცემული კანონის ძალით ებრძოლოს».

ავსტრ-უნგრეთი. ბუდაპეშტიდან იწერებიან, ვითომ გრაფ გოლუხოვსკის პეტერბურგში დიპლომატიური წერილი გაეგზავნოს. გოლუხოვსკი ამ წერილში ვითომ იმ პოლიტიკას ეხებოდეს, რა პოლიტიკასაც რუსეთი ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე დაადგა. ამბობენ, ამ საგნის თაობაზე უნგრეთის პარლამენტის ოპოზიციაც აპირებს ლაპარაკის ჩამოგდებასაო, რადგანაც ბალკანეთიდან მეტად საშიშარი ამბები მოდისო. ვენის ზოგიერთი გაზეთი კი უფრო დინჯად უყურებს ამ საქმეს და იმედოვნებენ, რუსეთი აქამდეც კარგად ასრულებდა თავის პირობას ავსტრ-უნგრეთთან და ამას იქი-

---

სულიც კი განირჩეოდა კეთილ-შობილი, თავისუფალი მოქალაქის სულისაგან. არისტოტელი, პლატონი, ციცერონი იმ აზრისანი არიან, რომ ყოველგვარი შრომა ადამიანის სულს ათახსირებს, კეთილ-შობილ და თავისუფალ მოქალაქეს არ შეშვენის. მუშაობა, ეს მონათა და ხელოსანთა საქმეა. ამიტომაც საბერძნეთში და რომში, რომლებიც კლასსიკური ადგილებია მონური წარმოების წესის აღორძინებისა, განვითარებისა და გაქრობისა, ხელოსნები მრავალ-ნაირად იყვნენ დაჩაგრული თავისუფალ მოქალაქეთაგან, თუმცა მათი პიროვნება ამ მოქალაქეთა საკუთრებას არ შეადგენდა, როგორც მონები. მათ მრავალი გადასახადებით და ბეგარებით ართმევდენ სულს.— მიუხედავათ იმისა, რომ ძველ საბერძნეთში და რომში მონურ წარმოებით განწყობილებათა გარდა სხვანიც იყვნენ, პირველი უნდა განვიხილოთ, როგორც იმ ეპოქაში არსებული წარმოების წესი, რადგანაც ის იყო საფუძველი საზოგადოებრივი წარმოების პროცესსისა, პრინციპი მთელი მაშინდელი ცხოვრებისა, წარმოების წესი ანტაგონიზმზე დამყარებული.

ერთი წარმოების წესი მითი განირჩევა მეორესაგან, თუ როგორი განწყობილებაა— ინდივიდთა შორის საზოგადოებრივ წარმოების პროცესსთა განსაზღვრულ ფორმებში. მონური განწყობილება შეადგენს მთელ წარმოების წესს, რადგანაც საზოგადოებრივი წარმოების პროცესსი ხდება განსაზღვრულ განწყობილებით საზოგადოების წევრთა შორის: წარმოება ექსპლოატაციით ჰხდება, მაგრამ ეს ექსპლოატაცია პირდაპირ იმაში გამოიხატება, რომ მწარმოებელი პირდაპირი იარაღია ექსპლოატატორის, თავის პატრონისა. ზედ-მეტი ღირებულება, რომელიც პირდაპირი შედეგია ყოველ ექსპლოატაციაზედ დამყარებელი წარმოების წესისა, ძალით გამონაღებია მონის განსაკუთრებითი მდგომარეობიდან პატრონის ძალ-მომრეობის მიერ, საწარმოო საშუალებათა მფლობელის მიერ. მონა იარაღია, მაშასადამე რათ უნდა დაზოგო პატრონის ლოლიკით იარაღი, როცა მას შეუძლია ნაყოფიერად მოხმარებულ იქმნას.

არისტოტელი ნათლად გვიხატავს, თუ როგორი იყო განწყობილება პატრონსა და მონას, მწარმოებელს შორის. საზოგადოდ მთელი მისი თხზულება „პოლიტიკა“, პლატონის კრიტიკა დაცვაა მონური წარმოების წესისა, რომელიც არისტოტელის აზრით ბუნებრივია, სამართლიანია, ნორმალური, და როგორიც გნებავთ, მსგავსად იმისა, როგორც ეხლა ბურჟუა-ეკონომისტ-ფილოსოფოსები იცავენ გამწარებულ კაპიტალისტურ მონობას, კაპიტალისტური წარმოების წესის „კანონებს“ (!?) და ბუნებრივად აღიარებენ, უცვლელ-ურყევად და უკუნად. გიგანტი არისტოტელიც ვერ წაუვიდა იმ წარმოებით განწყობილებათაგან შექმნილ საზოგადოებრივ ზნეობას, რომელიც მის დროს არსებობდა..

როდესაც რომელიმე ბურჟუა-ეკონომისტს ეტყვიან, რომ მთელი სიმდიდრე თანამედროვე საზოგადოებისა მხოლოდ მუშის, მწარმოებლის ხელით არის შექმნილი, რომ კაპიტალისტური წარმოების პროცესსი მხოლოდ თვალ-საჩინო ქურდობა-ავაზაკობაა და სხვა არაფერი, ის მაშინვე გველურ სისინს მორთავს და პირში შემდეგ უტვინო და უაზრო სიტყვებს გახლის: „რა გნებავთ, მუშა ქირას იღებს და სხვა რა უნდა! რათ არის თანამედროვე წარმოების პროცესსი ქურდობა, ავაზაკობა?!“ განაგრძეთ მასთან ბაასი და ჰკითხეთ, თუ როგორი იყო წარმოება ანტიკური მონობის დროს, საშუალო საუკუნოებში, ის მაშინვე დაგემოწმებათ, რომ მონობა და ბატონ-ყმობა მართლა ექსპლოატაცია იყო. რათ ვარდება ბურჟუა ამ წინააღმდეგობაში? სრულიად ადვილი ასახსნელია. მონური განწყობილება თვალ-საჩინო იყო,* მონა პირდაპირი ინდივიდუალური საკუთრება იყო პატრონისა. ბატონ-ყმობაც არა ნაკლებად თვალ-საჩინო ექსპლოატაცია იყო, რადგანაც ბატონსა და ყმას შორის პირადი განწყობილება იყო,—ყმა განსაზღვრულ დღეს, კვირაში, ბატონისათვის მუშაობდა, განსაზღვრულს—თავისათვის. კაპიტალისტური მონობა კი დაფარულია იმ განსაკუთრებითი ფორმით, რომლითაც იფარება პატრონისა და მუშის წარმოებითი განწყობილება,—სამუშაო ქირის ფულადი ფორმით,—მუშისა და პატრონის იურიდიული თანასწორობით და სხვ. ამიტომ არ უყვარს ბურჟუას ზედ-მეტ ღირებულობაზე ლაპარაკი და გაიძახის: „რა ზედ-მეტი ღირებულობა, მუშა თავის შრომის ფასს იღებსო“, და ეს ბურჟუაზიის ენათაგან შეთხზული უაზრო სიტყა „შრომის ქირა“, «შრომის ფასი», რომელიც ისეთივე უაზროა მარქსის სიტყვით, როგორც „ყვითელი ლოგა-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1529.

თაც არ გადუხვევს ამ გზას და არ შეარყევს ევროპისა და ბალკანეთის მშვიდობიანობასაო.

✿ ბოჰემიის სეიმის წევრთა არჩევანი 8 და 15 სექტემბრისათვის (ახ. სტ.) დანიშნეს. გერმანელთა ზომიერ დასს ძლიერ ეშინიან: ელიან, ბოჰემიის გერმანელთა ოლქებში უკიდურესი ნაციონალისტები გაიმარჯვებენო. «ნეუე ფრეიე პრესსე» ყველას ურჩევს, მთავრობის მხარე დაიჭირეთო. გაზეთი სწერს:

«თუ გერმანელმა ნაციონალისტებმა გაიმარჯვეს და ბოჰემიის სეიმში გერმანელთა ადგილები დაისაკუთრეს, ამ სეიმშიაც ობსტრუქციას გამართვენ და ამით ჩეხების უმეტესობას საბუთი მიეცემა, თითონაც ისევ ობსტრუქციას მიჰყონ ხელი. გაზეთი ამბობს: თუ გერმანელთ ზომიერი დასი ნამდვილათ დამარცხდა, მაშინ მთავრობამ ამ დასს სხვა ადგილები უნდა მისცესო: ახლა დიდი მემამულეების დეპუტატთა ადგილები სულ ჩეხებს უჭირავთ, ზოგიერთი ადგილი უნდა ჩამოერთვას და გერმანელ ზომიერ დასის წარმომადგენლებს გადაეცესო».

როცა კი ბოჰემიის სეიმის არჩევნების დრო მოახლოვდება, გერმანელები უყველთვის ამ ჰანგის მღერას მოჰყვებიან ხოლმე. გუნებაში ის საიდუმლო ფიქრი აქვთ, რომ ასე თუ ისე, რამენაირათ ჩეხებს ბოჰემიის სეიმის უმეტესობა გამოჰგლიჯონ ხელიდან და ამით ჩეხების გავლენა შეასუსტონ.

✿ გაზეთები იუწყებიან, კაიცლის მაგიერ მლადო-ჩეხები დოქტორ ენგელს აირჩევენ დეპუტატადაო. ენგელი კაიცლის დიდი მეგობარი იყო და იმ მიმართულების კაცია, რა მიმართულებისაც კაიცლი იყო. ენგელი გამოჩენილი მოღვაწეა და თავისი ნიჭით სწორედ ამშვენებდა მლადოჩეხების დასს. როცა მლადოჩეხებმა ობსტრუქცია გამართეს, ენგელი წინააღმდეგი გახდა ამნაირი ქცევისა და დეპუტატობიდან გადადგა. ახლაც რომ უთხოვნიათ ხელ ახლად პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიო, დიდ უარზე მდგარა და მერე ძლივს დათანხმებულა, იმ პირობით, რომ ყოველთვის ობსტრუქციის წინააღმდეგი ვიქმნებიო. გაზეთები ამბობენ: ენგელის დეპუტატად არჩევა იმის მომასწავებელია, რომ თითონ ჩეხებიც ახლა მორიგების გუნებაზე არიანო. და თუ გერმანელებმა ხელი არ შეუშალეს შეთანხმების საქმეს, იქმნება მთავრობამ და პარლამენტმა ბოლო მოუღოს ჩეხებსა და გერმანელებს შუა ატეხილ ეროვნულ ომსაო.

გერმანია. გერმანიაში მოსამსახურეები ამ ბოლოს დროს თურმე ძლიერ ცდილობენ, თავიანთი ბედი და მდგომარეობა გააუმჯობესონ. ამის თაობაზე «რუსსკია ვედომოსტი»-ს კორესპონდენტი შემდეგს იწერება ბერლინიდან:

«საზოგადოთ გერმანელი მოსამსახურეების ყოფა შეუდარებლად სჯობია რუს მოსამსახურეებისას. ბევრი რუსის განათლებული ქალბატონი გაოცდება სწორედ, აქაური წესები რომ გაიგოს. მაგალითად, როცა ბერლინელი ქალბატონი თეატრიდან სახლში ბრუნდება, თითონ აღებს კარებს, რადგანაც ამ დროს მოსამსახურეს სძინავს; თუ ვინიცობაა სტუმრები გვიანობამდე დარჩნენ, თითონ სახლის პატრონები-მასპინძლები აცილებენ და არა მოსამსახურე.—ფიქრადაც არავის მოუვა, მოსამსახურე გააღვიძოთო. როცა ადგილზე დგება მზარეულად თუ მოსამსახურედ, ქალი ყოველთვის სთხოვს დამქირავებელს, ჩემი ოთახი მიჩვენეთო და ყველას ჰკითხულობს: პირი-საბანი, მაგიდა (სტოლი) და ტანისამოსის შკაფი ექმნება, თუ არა. მოსამსახურე იმავე საჭმელს სჭამს, რასაც თითონ პატრონები სჭამენ. მოსამსახურეებს ქირა მოსკოვის მოსამსახურეებზე ერთი ნახევრად მეტი აქვთ. მით მაინც გერმანიაშიაც დღემდი ზოგიერთი ძველი, ბატონ-ყმობის დროის წესია დარჩენილი და ეს წესები იმდენად უფრო აბორკებს და ალეცხლებს მოსამსახურეებს, რამდენადაც მოსამსახურეები გონებით უფრო განვითარებულნი არიან და თავიანთი მოქალაქობრივი უფლება შეგნებული აქვთ. ყველა სრულ-წლოვან მუშებისათვის სამუშაო წიგნაკები დიდი ხანია გააუქმეს, მარტო მოსამსახურეები-და არიან მოვალენი, ეს წიგნაკები იქონიონ. მრეწველებსა და მუშებს შუა ჩამოვარდნილ უთანხმოებასა და დავას სამრეწველო სასამართლოები არჩევენ; ამ სასამართლოების წევრებს კიდე ორივე მხარე არჩევს—მრეწველებიცა და მუშებიც. მოსამსახურეები კი დღემდე პოლიციასა და საზოგადო სასამართლოებს ემორჩილებიან. ამას გარდა, მოსამსახურეები თხოულობენ, სამუშაო დღისათვის ვადა დაინიშნოს და დრო-გამოშვებით შესვენების ნება გვქონდესო. დილის 6½ საათიდან საღამოს 10 საათამდე მოსამსახურეები ბატონებს ხელში უნდა შეჰყურებდნენ და ყოველი მათი ბძანება შეასრულონ. თუმცა მთელ ამ დროს სულ გაბმულ მუშაობაში არ ატარებენ, მაინც, როცა კაცს მთელ დღეში ნახევარი საათიც კი არ შეუძლიან თავისუფლად გაატაროს, მაშინ ეს კაცი ყოველთვის გაცეცხლებული და გაბოროტებულია. ბერლინშიაც და დანარჩენ გერმანიაშიაც ბატონები მოვალენი არიან მოსამსახურეები კვირაობით შუადღის უკან თვეში ორჯელ დაითხოვონ ხოლმე. ეს, რასაკვირველია, მეტად ცოტაა და თითონ ზოგიერთი ქალბატონი თხოულობს, მოსამსახურეებს, კვირა დღის გარდა, ყოველ კვირას ნახევარი დღე მიეცეთ შესასვენებლადაო. უნდა მოვიხსენიოთ, რომ ბერლინში მოსამსახურედ სულ ქალები არიან, კაცი მეტად ცოტაა და მით უფრო საკვირველია, რომ ქალებიც კი ესე მედგრად ცდილობენ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესებას».

სამხრეთ აფრიკა. «როსსია-ას» სწერენ ლონდონიდან: «შეფერსი თავისი რაზმით 70 ვერსის მანძილზე მიუახლოვდა ქალ. კაპშტადტსაო».

✿ ლორდ ალფრედ მილნერი სამხრეთ-აფრიკაში დაბრუნებულა. კაპშტადტში რომ მისულა, ქალაქის თავი და სხვა მოხელეები მიჰგებებიან. მილნერს ქალაქის თავის სალამის პასუხად უთქვამს:

«ნამდვილი წინასწარმეტყველი გამოვდექით. როცა კაპშტადტიდან მივდიოდი, ორი რამ ვიწინასწარმეტყველე: პირველი, ინგლისის ერი ხელს არ აიღებს სამხრეთ-აფრიკაზე, მეორე,—ისევ უკან დავბრუნდები მეთქი. ორივე წინასწარმეტყველება ასრულდა. მას აქეთ, რაც ისე დიდებულად მიმიღეს ინგლისში, ეჭვი აღარავის არ უნდა ჰქონდეს, რომ ინგლისის ერიცა და მთავრობაც მტკიცედ განაგრძობს თავის პოლიტიკას. სამხრეთ-აფრიკის ხალხი როგორც მოიქცევა, მომავალი ბედიც ისეთი ექნება. ასე რომ ეს ბედი თითონ ხალხის ხელშია. კანონის მოყვარული კაცები, რამდენადაც კი შეუძლიანთ, უნდა ეცადნენ დიდებული, თავისუფალი სახელმწიფო შეადგინონ. ეს სახელმწიფო თავისუფალ და დამოუკიდებელ ერების ფედერაციას უნდა წარმოადგენდეს. ეს მუდმივი და დაურღვეველი ფედერაცია კი მთელს ქვეყნიერებაზე უდიდეს თავისუფალ იმპერიის მფარველობის ქვეშ იქნება

ახალი ამბავი

✦ გუშინ წინ, 23 აგვისტოს, თბილისის გუბერნატორმა გადასცა ქალაქის გამგეობას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროექტი მთაწმინდის ფუნიკულერისა. ამასთანავე გუბერნატორი ატყობინებს გამგეობას, რომ ბ. როპის შუამდგომლობა ფუნიკულერისათვის სახაზინო ადგილის დათმობის შესახებ გადაეცა გადასაწყვეტად თბილისის გუბერნიის სახაზინო მამულების მმართველს («ნოვ. ობოზ“.).

✦ ჩვენ გადმოგვცეს შემდეგი ამბავი: ბორჩალოს მაზრის სოფ. ბაიდარახში დიდძალი მამულები ჰქონია შეძენილი ტფილისელ მდიდარ მოქალაქეს მირზოევს, რომელსაც თვისი ადგილები დაუყვია პატარ-პატარა ნაჭრებად, ასე თითო ოჯახისათვის საკმარისად, და ერევნის მჭიდროდ დასახლებულ ადგილებიდან გამოუწერია სამოცი კომლი მოსახლე, რომელთა იქ დასახლებას აპირობს თურმე. მირზოევს გლეხების დასასახლებლად შეუმუშავებია განსაკუთრებული პირობები, რომლის ძალითაც გლეხები, როგორც მონადელეები, ერთს წილს თვის ნამუშავრისას მირზოევს მისცემენ და დანარჩენით თავის ცოლშვილს აცხოვრებენ, ამ გვარად გაველაკებულს ადგილს დაამუშავებს, გაანაყოფიერებს და ბოგანო ხალხსაც საშუალებას მისცემს გაღონიერდეს.

✦ სურამიდან გვატყობინებენ, რომ იქაურ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საქმე რიგიანად ვერ იყო დაყენებული, რადგან საქმეს მეთაური და გამძღოლი არავინა ჰყავდა. ეხლა ბიბლიოთეკის გამგებლობა უკისრნიათ უსასყიდლოდ ადგილობრივ იტრიის სკოლის მასწავლებელს ნებიერიძეს და რკინის გზის მოხელეს მურვანიშვილს, რომელნიც ვაჭრის ხორავას დახმარებით აპირებენ უკეთესად მოაწყონ სამკითხველოს საქმე.

✦ გუშინ ქალაქის თავმა გ. გ. ევანგულოვმა მისწერა ხელოსანთა მოურავს მოახდინოს განკარგულება, რომ ამქრებმა მონაწილეობა მიიღონ გამოფენის გახსნაში 2 ენკენისთვეს.

✦ ქუთაისის მაზრის ამაღლებისა და შორაპნის მაზრის ალისუბნის მეორე კლასიან **სამრევლო სასწავლებელში** მისაღები ეგზამენები დაიწყება წელს პირველში 1-დან, ხოლო მეორეში—6 სექტემბრიდან.

✦ კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის კომისარმა მისწერა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ კავკასიის გამოფენის დღეს, 2 სექტემბერს, უნდა დაესწრონ ტფილისის მოქალაქეთა და სხვა ამქრებთა წარმომადგენლნი საამქრო ნიშნებითა და ბაირაღებითაო.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველომ ამ დღეებში მისწერა რკინის გზის ნაწილების უფროსებს და სამუშაოთა ზედამხედველთ, რომ **მალე მოაწოდონ ხოლმე სამმართველოს ცნობები**, თუ ვინიცობაა და გზის საკუთარი ადგილი ვინმემ დაისაკუთრა ან სახლის დასადგმელად და ან სხვა რაიმე მიზნისათვის. აქამდე, როცა ამნაირი შემთხვევა ყოფილა, ადგილის მფლობელობას ექვსი თვის ვადა გადასვლია, რის შემდეგაც სამართველოს მესაკუთრეობით უნდა ეძებნა თვისი ადგილზე უფლება, რაც უფრო ძვირად უჯდებოდა და დიდ დროსა და შრომას ითხოვდა; ხოლო, როცა მფლობელობის აღსადგენად სამმართველოს ვადა ექნება, შეეძლება მომრიგებელ მოსამართლის უფლებით აღადგინოს თვისი ძალა თუ ადრე ცნობებს მიიღებს ადგილის დაფლობის შესახებ, რისთვისაც გამოცემულ იქმნა აღნიშნული ცირკულიარი.

✦ **ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში** განმეორებით ეგზამენები დაიწყება 27 აგვისტოდან და დასრულდება 28 აგვისტოს. მისაღები ეგზამენები მოხდება 31 აგვისტოს. სათავად-აზნაურო სკოლის პირველ დასაწყის მოსამზადებელ კლასში თავისუფალი ადგილი 60-მდე იქნება.

✦ დღეს, 25 აგვისტოს, ბათუმში **მობრძანდებიან** საბერძნეთის დედოფალი უავგუსტოესის შვილებით და დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე. ბათუმიდან საგანგებო მატარებელით წაბრძანდებიან აგარაკ

რითმი“, მხოლოდ იმას ამტკიცებს, თუ როგორ არის ბურჟუაზიულ ცხოვრებაში ყოველივე თავდაყირა დაყენებული, გადამახინჯებული.

ჩვენ უკვე მე-II-ე წერილში განვმარტეთ ღირებულობა, მისი არსება, მისი წყარო, მისი ფორმები. ჩვენ შეძლებისა დაგვარად ვაჩვენეთ, რომ ღირებულობა არის წარმოებით განწყობილებათა გამოხატვა, საზოგადოებრივი შრომის განხორციელება საქონელში: რომ შრომას ღირებულობა არა აქვს, ღირებულობა აქვს მხოლოდ სამუშაო ძალას. საქონლები იცვლებიან ერთი-ერთმანეთში ექვივალენტურად, განსაზღვრული რაოდენობა ღირებულობის მეორე განსაზღვრულ რაოდენობაში. გაცვლა-გამოცვლას მიზნათ არ უძევს მოგება, არამედ იგი არის საზოგადოებრივი განწყობილება მწარმოებელთა შორის, ურთიერთის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. გაცვლა-გამოცვლა საქონელთა ამ უკანასკნელთა ბრუნვაა და არა წარმოება, ღირებულობის წარმოება კი წარმოების პროცესში ხდება და არა ბრუნვის პროცესში, რადგანაც ერთი საქონელი რომ მეორეში გაიცვალოს, ამისათვის საჭიროა ეს ღირებულობანი უკვე არსებობდენ, უკვე იყვენ ნაწარმოებნი,—წარმოებით პროცესსი უნდა დასრულდეს, რომ ბრუნვის პროცესსი დაიწყოს,—როგორც განსაზღვრული შედეგი განსაზღვრული მიზეზისა,—ღირებულობის რაოდენობათა შორის თანასწორობის შესადგენად. მაშასადამე ბრუნვის პროცესში შეუძლებელია ღირებულობის შექმნა, მაშასადამე განსაზღვრულ მბრუნავ ღირებულობათა რაოდენობის ამ ბრუნვის პროცესში მოკლება ან მომატება.

მოგება შედეგია ღირებულობის ზრდისა. იგი თვით არის ღირებულობის ზრდა. შეცდომარი აზრია, განვიმეორებთ, ვითომც ყიდვა-გაყიდვაში მოგება შეიძლებოდეს. მყიდველი ერთსა და იმავე დროს მყიდველიც არის და გამყიდველიც: იგი ყიდულობს საქონელს და ჰყიდის ფულს. საქონელის გამყიდველიც ერთსა და იმავე დროს გამყიდველიც არის და მყიდველიც: იგი ჰყიდის საქონელს და ჰყიდულობს ფულს, რომელიც აგრეთვე საქონელია. მაშასადამე მათ შორის არ შეიძლება იყოს რაიმე პრინციპიალური გარჩევა, როგორც მყიდველსა და გამყიდველს შორის. განსაზღვრული ღირებულობის რაოდენობა, საქონელში გამოხატული, უპირდაპირდება ღირებულობის მეორე განსაზღვრულ რაოდენობას ფულში გამოხატულს. ეს ორი საქონელი უკვე განსაზღვრულნი არიან თავისი ღირებულობის რაოდენობით, რომელიც მათ შეიძინეს წარმოების პროცესში და ბრუნვის პროცესში გამოვიდენ, გამოიტანეს თავისი ღირებულობები მხოლოდ მათ შესაფარდებლად, თანასწორობის შესადგენად. x საქ. $A=y$ ფული. აი ეს თანასწორობაც.—მაგრამ შეიძლება მეორე მოატყუოს, გაჰყიდოს საქონელი იმაზე მეტად, რაც არა ღირს. ვსთქვათ, რომ x საქ. $A=a$; y ფული$=b$. ჩვენ გვექნება მაშინ შემდეგი თანსწორობა: $a=b$. ვსთქვათ, რომ პირველმა მეორე მოატყუა, ე. ი. ყიდვა-გაყიდვის პროცესში პირველმა მოიგო მეორესაგან განსაზღვრული რაოდენობა ღირებულობისა$=d$. მაშინ ჩვენი თანსწორობა $a=b$ შეიცვლება არა თანსწორობად $a+d=b-d$-თ, ე. ი. პირველს მოუგია მეორესაგან d, ის რაც მეორეს «წაუგია» პირველთან გაცვლის აქტში. ისე რომ გაცვლის აქტის შემდეგ პირველს აქვს რაოდენობა ღირებულობისა$=a+d$, მეორეს$=b-d$. შევაერთოდ ორთავეს სიმდიდრე, რომელიც წარმოადგენს:

$$+\left.\begin{matrix}a+d\\ b-d\end{matrix}\right\}=a+b;$$

ჩვენ დავგრჩება ისევ $a+b$, ე. ი. რაც ორთავეს ჰქონდათ გაცვლა-გამოცვლის აქტის დაწყებამდე, არც მეტი, არც ნაკლები.—ღირებულების წარმოების კანონი ისე გამოურკვეველილი არ არის, რომ ბრუნვის პროცესში მოხდეს ის, რაც წარმოების პროცესში ხდება. ვეძებოთ სხვაგან „მოგების“ მიზეზი. მოგება ღირებულებაა, ღირებულება-კი მხოლოდ წარმოების პროცესში იბადება. საქონლები ექვივალენტურად იცვლებიან ერთმანეთში, მაშასადამე მოგების დაბადება ბრუნვის პროცესში შეუძლებელია. მოგებას, როგორც ღირებულებას, წარმოება უნდა, ბრუნვის პროცესში-კი რეალიზაციაა ღირებულებისა, მოგებისა...

Un Camarade.

(გაგრძელება იქნება)

ბორჯომში უავგუსტოესის სტუმრების შესახვედრად გუშინ ტფილისიდან ბათუმში წავიდნენ კავკასიის მთავარ მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი, მისი თანაშემწე გენ.-ლეიტ ა. ა. ფრეზე და სხვა მმართველნი პირნი.

◆ პეტერბურგში არსდება ახალი **ინსტიტუტი კბილის ექიმისა**, სადაც მარტო ქალები ისწავლიან. ინსტიტუტს ხსნის ქ-ბნი ლ—ე. ამ მოკლე ხანში პეტერბურგშივე დაარსდა აფთექა, სადაც მხოლოდ ქალები მუშაობენ.

◆ კავკასიის გზათა სამმართველოს უფროსი **გუნევიჩი** წავიდა ჩერნომორის გუბერნიაში ახლად გაკეთებულ გზა-ტკეცილების დასათვალიერებლად.

◆ გუშინ უნდა მომხდარიყო საქალაქო იმ კომისიის სხდომა, რომელსაც დავალებული აქვს მოაწყოს **ქალაქის მონაწილეობა საიუბილეო დღესასწაულებში**. სხდომა არ შესდგა წევრთა კანონიერის რიცხვის მოუსვლელობის გამო და გადაიდვა მომავალ ორშაბათისათვის.

◆ კავკასიის სამხედრო შტაბმა გაგზავნა **ტოპოგრაფები** ყიზლიარის ოლქში ტოპოგრაფიულ აღწერის მოსახდენად. ისინი მუშაობას შემოდგომაზე შეუდგებიან და ზამთრამდის დაასრულებენ.

◆ გუშინ ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა განსაკუთრებულ კომისიისაგან შედგენილი პირობები, რომლებით უნდა გაიცეს იჯარით ავლაბარზე **ციციშვილის აღმართის** გამაგრება-შეკეთების საქმე. მალე ეს პირობები გამოცხადებულ იქმნება.

◆ კავკასიის სამხედრო შტაბის უფროსმა შეატყობინა გუშინ ქალაქის თავს, რომ ტფ. საარტილერიო საწყობი იკისრებს, თანახმად ქალაქის სამმართველოს თხოვნისა, **შუშხუნების** დამზადებას მომავალ საიუბილეო დღესასწაულებისათვის.

◆ როგორც შევიტყეთ, ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს მოხელე ბ-ნი **კანდელაკი** დაინიშნა ბორჩალოს მაზრის უფროსის თანაშემწედ.

◆ ტფილისის გუბერნატორმა მისწერა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას—შემატყობინეთ რა დანიშნულება აქვს იმ მიწის ნაჭერს, რომელიც ქალაქის სამმართველომ დაუთმო **სუნიტთა მეჩეთსაო**.

◆ ტფ. მომრიგებელმა მოსამართლემ გუშინ გაარჩია **სტუდენტის პერმიკინის საჩივარი**; სტუდენტი თხოულობდა—20 მან. გადახდეს ტფილისელ ვაჭარს ვართან ბაბოვს, რომელმაც შვილის სწავლებისათვის ჯამაგირი დამაკლოო. ვართან ბაბოვი სასამართლოში არ გამოცხადდა; სასამართლომ დააკმაყოფილა პერმიკინის თხოვნა.

◆ გუშინ ვიღაც ქალდიაშვილმა განაცხადა პოლიციაში, რომ 23 აგვისტოს, ღამით, დიდუბეში, თავს დაეცენ ოთხი უცნობი; ჯიბეები გაუსინჯეს და, რა-კი ვერაფერი უნახეს, ძალიან გალახეს და ცოცხალ-მკვდარი იქვე თხრილში გადააგდეს. პოლიცია შეუდგა დამნაშავეთა აღმოჩენას.

პრესსა

კიდევ პოლონელებზე და მათ თვით მოქმედებაზე. პოლონურ გაზ. „სლოვოში“ მოთხრობილია პოზნანის „გლეხთა სასოფლო-სამეურნეო წრეების“ ისტორია. პოლონელი გლეხი, ამბობს „სლოვო“, შეადგენს ეხლა პოზნანის საზოგადოების სიამაყესა და დიდებას. არა ერთი „უფროს ძმისაგან“ დაკარგული მამული დაიბრუნა მან; პოზნანელი გლეხის დამსახურებაა ის მოვლენა, რომ მიუხედავათ გერმანულ «საკოლონიზაციო კომისიის“ და „ჰაკატისტების» ბანკის მოქმედებისა, მიუხედავათ იმისა, რომ გაღარიბებული ნაწილი პოლონელ თავად-აზნაურობისა დღესაც ჰყიდის მამულებს, უკანასკნელ ორის წლის განმავლობაში გერმანელების მიწა უფრო მეტი გადავიდა პოლონელების ხელში, ვიდრე პოლონელებისა გერმანელების ხელში.

> „ეს მაღალი ზნეობრივი, კულტურული და ეკონომიური განვითარება არის შედეგი, უმთავრესად, „ხალხთა სასოფლო-სამეურნეო წრეების“ გავლენისა“.
>
> „ეს „წრეები“ ერთბაშად როდი გაჩენილან. მათს მოწყობასა და შენახვას დიდ ძალი ენერგიის და შრომის დახარჯვა მოუნდა და პირველი ასეთი წრე დაარსა დასავლეთ პრუსიაში საკუთარ მამულში ორმოცის წლის წინათ ადგილობრივმა მემამულემ იულიან კრაზევიჩმა. ამ „წრეს“ დიდ ხანს არ გაუძლია, იგი მალე დაიხურა. ამ გვარივე ბედი ეწვია სხვა ამ გვარ წრეებსაც. მიუხედავათ ამისა, „წრეების“ აზრი თან და თან ვრცელდებოდა პოლონელ სოფლის ინტელიგენციისა და თვით გლეხებ შორის. ეს აზრი სავსებით განხორციელდა პოზნანში, სადაც 1866 წელს გლეხმა დიონისე სტასიაკმა გადასწყვიტა დაეარსებინა თავის სოფელში ამ გვარი „წრე“. ამ საქმეში მას დიდი დახმარება აღმოუჩინა მღვდელმა ვისნევსკიმა და ორმა მასკოველმა მემამულემ. ამ გვარად დაარსდა დოლსკში სასოფლო სამეურნეო წრე გლეხებისა, რომელმაც მალე მიაქცია ყურადღება და გამოიწვია მიბაძვაც; დაარსდა რამდენიმე ახალი წრეები, მაგრამ ამ წრეებს შორის არ იყო არავითარი კავშირი, ყველა თავ-თავისთვის მოქმედებდა, რაც, რასაკვირველია, საქმეს ვნებას აძლევდა. ამ ნაკლის ასაცილებლად პოზნანის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ დაავალა თავის განყოფილებათ თვალყური ედევნებინათ „წრეების“ მოქმედებისათვის და საჭიროების დროს დახმარება აღმოეჩინათ მისთვის. ამიტომაც 1869 წელს დაარსეს საგანგებო ინსპექცია, რომლის ხელმძღვანელობა მიენდო მსხვილ მემამულეს მაქსიმილიან იაცკოვსკის, რომელსაც ეხლა მთელი ევროპა იცნობს „პოზნანელ გლეხების მეფის“ სახელით“.
>
> „მაინც საქმე მეტად მძიმედ მიდიოდა და პოზნანის სამეურნეო საზოგადოება დარწმუნდა, ყველაზე უკეთესი იქნებოდა, თუ რომ „მოგზაურ მასწავლებელ მეურნეს“ იშოვიდნენ, მაგრამ როგორ უნდა ეშოვნათ იგი? მასწავლებელს, გარდა ცოდნისა, თავ განწირულების შნოც უნდა ჰქონოდა. ზემოხსენებულმა დიდმა მემამულემაც იაცკოვსკიმ იკისრა ეს თანამდებობა.... იაცკოვსკის რკინის ენერგიის, დიდის შრომისა და თავგანწირულის აზრი განხორციელდა და ბრწყინვალე ნაყოფიც გამოიღო. თექვსმეტი წლის განმავლობაში მან დაარსა 30 მდე ახალი წრე 1874-ში იყო 61,1877-წელში-კი—105. ეხლა“ სასოფლო სამეურნეო წრეები“ აუცილებელი, ბუნებრივი მოვლენაა პოზნანელ გლეხის ცხოვრებაში“.

⁂

რა შეუძლია ერობას. გამოსულა—«ტამბოვის გუბერნიის სწავლა-განათლების მასალებისა და სტატისტიკურ ცნობების კრებული». 1874-ში ხსენებულ გუბერნიიდან გამოწვეულ ჯარის კაცთა შორის ას კაცზე ათმა იცოდა წერა-კითხვა, 1899-ში-კი წერა-კითხვის მცოდნე 48$^0/_0$-ზე მეტს შეადგენდა თურმე. ხალხი თავდაპირველად უნდო თვალით უყურებდა სკოლას და იშვიათად თუ მიჰყავდა სასწავლებლად მოზარდი თაობა. ერობამ მოხერხებულის მოქმედებით და კარგის მასწავლებლების არჩევით თან და თან შეაყვარა სკოლა ხალხს და ეხლა სწავლის მსურველებს ველარ აუდიან. ბ. ველიჩკო და მისნი თვისნი წინაამღდეგნი იყვნენ ჩვენში ერობის შემოღებისა. მიუხედავათ ამისა, ზოგიერთებს ველიჩკო ქართველთ მეგობრად და ქომაგად მიაჩნიათ ეხლაც კი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! რადგანაც ზოგიერთ აქაურ რუსულ გაზეთში შემცდარი ცნობები დაიბეჭდა ჩემ-მიერ ფონოგრაფით გადაღებულ სიმღერების რაოდენობის შესახებ, უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით გამოაქვეყნოთ შემდეგი: ქართლში მე ფონოგრაფით გადვიღე 26 სიმღერა, შემდეგ ქიზიყში—9; ამის შემდეგ თელავში—27 სიმღერა. გარდა ამისა მე წინად ჩაწერილი მქონდა 6 რაჭული სიმღერა, ასე რომ სულ შესდგება 68 სიმღერა.

დავშთებით და სხვა დ. არაყიშვილი.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

24 აგვისტო

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა აიკრძალოს ერთის თვის ვადით „ნოვოსტი“-ს ცალკე ნომრების გაყიდვა.

გამოცხადებულია განკარგულება გზათა მინისტრისა, შეიცვალოს სხვილ-ფეხა საქონლის რკინის გზით წასხმა-წამოსხმის წესების მეთვრამეტე პარაგრაფი. ამ მუხლის ძალით, თითო რიგობაში უნდა ყოფილიყო არა ნაკლებ 8 სულის საქონლისა.

ტიუმენი. გაიხსნა გუბერნიაში პირველი კრება სასოფლო სამინისტრო და პირველ დაწყებითი სამ.ოქალაქო სკოლების მასწავლებლებისა.

ლისაბონი. ოფიციალური ტელეგრამა მოზამბიკიდან გვაუწყებს, რომ რკინის გზის ლიანდაგი პრეტორია-ლორენცო-მარკეზს შორის აყრილია 30 კილომეტრის მანძილზე კომატიპარტოს აქეთ.

იოკოგამა. ჩინეთის ელჩები მოვიდნენ ტოკიოში ბოდიშის მოსახდელად. არავინ არ მიეგება. ელჩები პირდაპირ სასტუმროში წავიდნენ.

პარიზი, „ჰავასის სააგენტო» იუწყება, საელჩოს მრჩეველმა რაპეტმა, თანახმად პარიზიდან მოსულის მოწერილობისა, უარი გამოუცხადა ტევფიკ-ფაშას, რომელმაც მიიწვია იგი თავისს სახლში სადარბაზოთ.

ბერლინი. პოტსდამიდან მოვიდა პრინცი ცუნი ყველა თავისი თანამგზავრებით და სასტუმროში ჩამოხდა. მოსვლისათანავე პრინცი ჩეენიმას, გენერალი ლინჩანი, ელჩი ლუხაივანი და საელჩოს მდივანი კინინტეი სადარბაზოთ წავიდნენ გარეშე საქმეთა სამინისტროში, სტატს-სეკრეტარ რიტგოფენთან, რომელიც თავისს მხრივ მალე პრინცს ეწვია სანახავად.

პეკინი. ის განკარგულებანი, რომელთა უქონლობისა გამო ფერხდებოდა საბოლოო ოქმის ხელის მოწერა, უკვე მიღებულია და წარედგინა ელჩებს განსახილველად.

პარიზი. როგორც საიმედო წყაროები გვარწმუნებენ, კაპიტალისტები ლორანდო და ტუბინი თანახმა არიან მიიღონ 3 პროცენტი იმ თანხაზე, რომელიც მიუსაჯა მათ სასამართლომ. ამ გარემოების გამო საფრანგეთ-ოსმალოს მორიგების საქმე შესამჩნევად შემსუბუქდება.

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო-გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. 9) ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

პეტერბურგის ბირჟა 21 აგვისტოს.

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,00
ბერლინზე 100 მარკაში	46,02$^1/_2$
პარიზზე 100 ფრანკში	37,32$^1/_2$
ლონდონზე ჩეკები	94,60
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,52$^1/_2$
ბირჟის დისკონტი	5$^1/_2$—7$^0/_0$
4$^0/_0$ სახელმწიფო რენტა	96 მყიდვ.
4$^1/_2$$^0/_0$ შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4$^0/_0$ გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—
5$^0/_0$ 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	450$^1/_2$ გაყიდ.
5$^0/_0$ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	347$^1/_2$ მყიდვ.
5$^0/_0$ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	238$^1/_4$ „
3$^1/_2$$^0/_0$ გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5$^0/_0$ ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4$^1/_2$$^0/_0$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5$^0/_0$ გირავნ. ფურცლ	90 გაყიდ.
4$^1/_2$$^0/_0$ გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6$^0/_0$ გირ. ფურცლ	—
5$^0/_0$ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

ტფილისის სასულიერო სემინარიის მმართველობისაგან

იყიდება საჯარო ვაჭრობით ტფილისის პოლიციის პირველ ნაწილში, ვერაზე, ჯვართან, საქართველოს სამხედრო გზის გვერდით მდებარე ადგილი ერთ-სართულიან სახლითურთ ზომით 3058.5 ოთხკ. საჟ. მოედნისა და ფერდობი ადგილისა—2897 ოთხკ. საჟ. ვაჭრობაში მონაწილეობა შეუძლიანთ მიიღონ მხოლოდ იმ პირთ, რომელნიც დახურულ პაკეტებით განცხადებას წარუდგენენ სემინარიის მთავრობას. განცხადებებში უნდა აღნიშნულ იქმნეს ფულის რიცხვი არა ნაკლებ 67,067 მან. და აგრეთვე განცხადებისათანავე უნდა წარმოადგინონ ბედ 6700 მან. ადგილის გეგმა და დაწვრილებითი პირობები ვაჭრობისა შეიძლება განხილულ იქმნეს ყოველ დღე, უქმე დღეებს გარდა, სემინარიის სამმართველოს კანცელარიაში დილის 9 საათიდან, დღის 12 საათამდე. განცხადებები გახსნილ იქმნებიან 12 საათზე 1901 წ. 16 ოქტომბერს სემინარიის მმართველობის სხდომაზე. (3—6—1)

დილიჟანების მიმოსვლა ქარელსა და ცხინვალს შორის

პატივისცემით ვაუწყებ საზოგადოებას, რომ 15 მარიამობისთვიდან ჩვენი დილიჟანები ივლიან ქარელსა და ცხინვალს შორის დღეში ორჯელ: ქარელიდან მიდის დილით 12-ზე და საღამოთი 6 საათზე; ცხინვალიდან გამოდის დილის 7-ზე და ნაშუადღევის 1 საათზე. ფასი კაცის თავზე 80 კაპ.

(5—3) აბელ კალატოზიშვილი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Августа 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.